# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/74

ქ. თბილისი 24 ივნისი 2021 წ.

**სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტისთვის დასახელების**

**შეცვლის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-8 მუხლის შესაბამისად, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 28 მაისის სხდომის №4 ოქმის საფუძველზე და აკადემიური საბჭოს 2021 წლის24 ივნისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიღებული იქნეს წინადადება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დასახელების შეცვლის თაობაზე და ეწოდოს ენერგეტიკის ფაკულტეტი.
2. გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2021/2022 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრიდან.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**